



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



1423/3-89/22 2 16022022



1423/3-89/22

16-02-2022

საქართველოს ფინანსთა მინისტრს

ლაშა ხუციშვილს

ბატონო ლაშა,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვით.

გთხოვთ, მომაწოდოთ დეტალური ინფორმაცია, 2018 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 იანვრის ჩათვლით, რა ოდენობის დამატებითი ღირებულების გადასახადის აკრეფა მოხდა საქართველოში, ჩაშლილად, თვითმმართველი ერთეულების მიხედვით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
გუბაზ სანიკიძე



საქართველოს
ფინანსთა მინისტრი
Minister of Finance
of Georgia



<https://edoc.mof.ge/public/#/>

31542-07-03-2-202204061530

N 07-03/31542

06/04/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
გუბაზ სანიკიძეს

ბატონო გუბაზ,

თქვენი 2022 წლის 16 თებერვლის N1423/3-89/22 წერილის პასუხად, რომლითაც ითხოვთ ინფორმაციას, 2018 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 იანვრის ჩათვლით რა ოდენობის დამატებული ღირებულების გადასახადის აკრეფა მოხდა საქართველოში, ჩაშლილად, მუნიციპალიტეტების მიხედვით, გაცნობებთ, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, დამატებული ღირებულების გადასახადი წარმოადგენს საერთო სახელმწიფოებრივ გადასახადს, იგი დადგენილია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მისი ადმინისტრირება არ ხორციელდება მუნიციპალიტეტების ან პირველადი ტერიტორიული ერთეულების მიხედვით. შესაბამისად, დამატებული ღირებულების გადასახადის აღრიცხვა მუნიციპალიტეტების მიხედვით არ ხორციელდება.

2018 წელს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე, დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მიღებული შემოსულობების 19% ნაწილდება მუნიციპალიტეტებზე და წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავალს, რომლის განაწილებაც ხდება „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 71-ე და 114⁵ მუხლებით დადგენილი წესით.

მუნიციპალიტეტებზე მობილიზებულმა დამატებული ღირებულების გადასახადის ფაქტიურმა შემოსავალმა 2019 წელს შეადგინა 995 413,9 ათასი ლარი, 2020 წელს 919 074,4 ათასი ლარი, 2021 წელს 1 145 207,8 ათასი ლარი, ხოლო 2022 წელს დაგეგმილია 1 266 400,0 ათასი ლარის მობილიზება.

ასევე გაცნობებთ, რომ 2020-2021 წლებში თითოეული მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია წლიური ბიუჯეტის ანგარიშებში (თავი III), შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <https://mof.ge/4564>.

2022 წელს თითოეული მუნიციპალიტეტის მიერ მისაღები დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მოცულობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის განმარტებით ბარათში ელექტრონულ მისამართზე: <https://mof.ge/5477>.

ამასთან, დანართის სახით გიგზავნით ინფორმაციას 2019 წელს თითოეული მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ.

დანართი: „1“ ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა ხუციშვილი



მინისტრი



საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 71-ე და 114⁵ მუხლების შესაბამისად, 2019 წელს
დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების შედეგად თითოეული მუნიციპალიტეტის
მიერ მიღებული შემოსავალი

N	დასახელება	თანხა (ათასი ლარი)
1	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	497,806.5
2	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	50,467.5
3	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	9,755.1
4	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	6,768.8
5	ქედის მუნიციპალიტეტი	6,470.2
6	შუახევის მუნიციპალიტეტი	298.6
7	ხულოს მუნიციპალიტეტი	2,289.5
8	ახმეტის მუნიციპალიტეტი	6,967.9
9	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	9,058.3
10	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	1,493.1
11	თელავის მუნიციპალიტეტი	14,134.9
12	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	9,257.3
13	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	8,261.9
14	სიღნაღის მუნიციპალიტეტი	3,981.7
15	ყვარელის მუნიციპალიტეტი	4,280.3
16	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	34,640.4
17	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	7,863.8
18	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	3,782.6
19	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	8,261.9
20	ბაღდათის მუნიციპალიტეტი	5,375.2
21	ვანის მუნიციპალიტეტი	6,669.3
22	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	9,257.3
23	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	8,062.9
24	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	7,366.1
25	საჩხერის მუნიციპალიტეტი	10,252.8
26	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	5,176.2
27	ხონის მუნიციპალიტეტი	6,868.4
28	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	3,583.5
29	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	24,089.0
30	აბაშის მუნიციპალიტეტი	5,673.9
31	მარტვილის მუნიციპალიტეტი	7,963.3
32	მესტიის მუნიციპალიტეტი	3,483.9
33	სენაკის მუნიციპალიტეტი	6,868.4
34	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	5,474.8
35	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	6,271.1
36	ხობის მუნიციპალიტეტი	3,384.4
37	გორის მუნიციპალიტეტი	29,962.0
38	ქარელის მუნიციპალიტეტი	9,456.4
39	კასპის მუნიციპალიტეტი	5,972.5
40	ხაშურის მუნიციპალიტეტი	10,352.3
41	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	22,695.4
42	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	895.9
43	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	1,990.8
44	დმანისის მუნიციპალიტეტი	5,176.2
45	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	5,275.7
46	მარნეულის მუნიციპალიტეტი	12,243.6
47	წალკის მუნიციპალიტეტი	1,493.1
48	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	7,366.1
49	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	14,035.3
50	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	3,185.3
51	ბორჯომის მუნიციპალიტეტი	995.4
52	ადიგენის მუნიციპალიტეტი	4,479.4
53	ასპინძის მუნიციპალიტეტი	696.8
54	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	696.8
55	ახალციხის მუნიციპალიტეტი	9,058.3
56	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	2,886.7
57	დუშეთის მუნიციპალიტეტი	5,076.6
58	თიანეთის მუნიციპალიტეტი	4,379.8
59	მცხეთის მუნიციპალიტეტი	4,379.8
60	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	99.5
61	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	7,266.5
62	ლენტეხის მუნიციპალიტეტი	3,583.5
63	ონის მუნიციპალიტეტი	3,882.1
64	ცაგერის მუნიციპალიტეტი	6,171.6
	ჯამი	995,413.9